საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 558 2019 წლის 15 მარტი ქ. თბილისი

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების
განხორციელების თაობაზე

1. 2018 წელს მომხდარი სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებს გამოუყოს არა უმეტეს 2 060 000 (ორი მილიონ სამოცი ათასი) ლარისა, კერძოდ:

ა) ჭიათურის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 995 000 (ცხრაას ოთხმოცდათხუთმეტი ათასი) ლარისა;

ბ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 560 000 (ხუთას სამოცი ათასი) ლარისა;

გ) აბაშის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 315 000 (სამას თხუთმეტი ათასი) ლარისა;

დ) ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 190 000 (ას ოთხმოცდაათი ათასი) ლარისა.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, ამ განკარგულების საფუძველზე, თანხების გადარიცხვა განახორციელოს მუნიციპალიტეტების მიერ სახელმწიფო შესყიდვებზე გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**